ხელშეკრულება №14
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2011 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") - "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიული ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, **განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი,** მისი წარმომადგენლის მინისტრის ზაურ ჯალაღონიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "**თეგეტა მოროტსი**", მისი წარმომადგენლის გენერალური დირექტორი გიორგი მშვილდაძეს სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის BMW-525;** სახ.№ **LAS-408 შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს 790 (შვიდასოთხმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.2. საქონელი მიწოდებული (მომსახურება გაწეული) იქნება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელი (გაუწიოს მომსახურება) ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე);

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაწეული მომსახურებისათვის გამოწეროს შესაბამისი თანხის ანგარიშფაქტურა;

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება;

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის მინისტრის 2010 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №65§1 საფუძველზე დანაშნული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (მომსახურება გაწეული) არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის (გაწეული მომსახურების) შეცვლა.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს;

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცემს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში;

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით;

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეცოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების სეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 14 თებერვლიდან 2011 წლის 21 თებერვლის ჩათვლით;

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში
აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. №42
"თი ბი სი ბანკი"-ს
საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE40TB1997234080100001
ს/კოდი: 249273209
საკონტ. ტელ.: 39 20 72

(ბ.ა.)
(ზაურ ჯალაღონია)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"
ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-4 კვ, 22ბ კორპ.
სს "თიბისი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853
ს/კოდი: 202177205
საკონტ. ტელ.: 32 52 20/33/75

(ბ.ა.)
(გიორგი მშვილდაძე)

მიღება-ჩაბარების აქტი
ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურების გაწევაზე

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2011 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ ამ აქტის სისწორეს მასზედ, რომ მე, შ.პ.ს. "ტეგეტა მოტორსი", მისი წარმომადგენლის გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძეს სახით, 2011 წლის 14 თებერვალს გაფორმებული №14 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გავუწიე განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატს, წარმოდგენილს მისი მინისტრის ზაურ ჯალაღონიას სახით, რაც გამოიხატა ა/მანქანა **BMW-525;** სახ.№ **LAS-408** **შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურების გაწევაში.**

გაწეული მომსახურება

№	დასახელება	მომსახურების ღირებულება დღს-ს ჩათვლით
1.	ა/მანქანა BMW-525; სახ.№ LAS-408 შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა	790 ლარი
	სულ	790 ლარი

შემსყიდველი:

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში
აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. №42
"თი ბი სი ბანკი"-ს
საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE40TB1997234080100001
ს/კოდი: 249273209
საკონტ. ტელ.: 39 20 72

(ბ.ა.)
(ზაურ ჯალაღონია)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"
ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-4 კვ, 22ბ კორპ.
სს "თიბისი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853
ს/კოდი: 202177205
საკონტ. ტელ.: 32 52 20/33/75

(ბ.ა.)
(გიორგი მშვილდაძე)